**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი**

**2020 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.**

გასული წელი იყო რთული - ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, როგორც მთლიანად უნივერსიტეტის ცხოვრებაში ასევე არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე. ამ ახალ ვითარებაში მოგვიხდა სრულად დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით სულ მოკლე დროში მოხერხდა პრობლემების მაღალ დონეზე გადაჭრა: ორგანიზებული და შექმნილი რამოდენიმე ელექტრონული პატფორმა, რომელთა საშუალებით ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა სტუდენტებთან ერთად შეძლეს წარემართად სასწავლო პროცესი. ეს იყო გამოწვევა, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში შესაძლებლობად ვაქციეთ. კერძოდ მოხდა სწავლების მეთოდების ტრანსფორმაცია და ონლინ ფორმატში მუშაობა, დისტანციური ურთიერთობის წყალობით შევძელით რამოდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტის ონლაინ წარმატებულად განხორციელება და ორგანიზება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით შევძელით მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა გასუბრება ხატვასა და ხაზვაში, რისთვისაც დიდი მადლობა კომისიის წევრებს, განსაკუთრებით კი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი სალუქვაძეს. ამ კორონობის ჟამს დაფიქსირდა უპრეცედენტო მოზღვავება აბიტურიენტების და მაღალი კონკურსი. საქართველოში არსებულ ყველა არქიტექტურულ სკოლებს შორის უმაღლესი ქულებით ჩვენ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ აბიტურიენტები.

**საერთაშორისო პროექტები**







1.2020 წლის 27 თებერვალი. არქიტექტურული კვირეულის TBILISI ARCH WEEK-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მასშტაბურობას კორონავირუსის

გავრცელების საფრთხეებმა შეუშალა ხელი, კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის, სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლისა და სხვადასხვა უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლების გარდა, უნდა მიეღო 30-მდე არქიტექტორსა და პროფესორს იტალიიდან და ესპანეთიდან.

იტალიელი არქიტექტორები საქართველოს ობიექტური მიზეზების გამო ვერ ესტუმრნენ, თუმცა ჩამოვიდნენ არქიტექტორები ბარსელონიდან: კარმენ ფიოლა და ანდრეა არრიოლა სტუდია Arriola & Fiol Civic Projects -ის დამფუძნებლები.

შეხვედრა გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სადაც არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა წარმოადგინეს **პროექტი „წეროვანის დასახლების ხელახალი კულტურული დაგეგმარება“ შედეგები**, პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა სამი კვირის განმავლობაში ფაკულტეტის კურსდამთავრებულების, მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაგისტრების სალომე გუგუნავას და ნოდარ კვანჭიანის, ფაკულტეტის პროფესორების დათო ბოსტანაშვილის და ნინო იმნაძის ხელმძღვანელობით.








ვორქშოფი თემაზე: "წეროვანის კულტურული ხელახლა გამოგონება"




2020 წლის 8 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით სტუ-ს არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ყველა საფეხურის სტუდენტებისტვის განხორციელდა პროექტი და ვორქშოფი: "წეროვანის კულტურული ხელახლა გამოგონება". ვორკშოპის ინიციატორები არიან ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ნოდარ კვანჭიანი და სალომე გუგუნავა, რომლებმაც ბაკალავრიატის დასრულების შემდგომ სწავლა გააგრძელეს მაგისტრატურის საფეხურზე მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ვორქშოფის თანახელმძღვანელები არიან დავით ბოსტანაშვილი და ნინო იმნაძე. ვორქშოფის შედეგები წარდგენილი იქნა არქიტექტურის კვირეულზე, 24-28 თებერვალს ქ. თბილისში სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. კვირეულზე უცხოელმა სპეციალისტებმა განიხილეს აღნიშნული პროექტის შედეგები.



2020 წლის 14 თებერვალს შედგა პროექტი და ვორქშოფის: "წეროვანის კულტურული ხელახლა გამოგონება" სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე მოწვეული იყო წეროვანში მცხოვრები სოციოლოგი და ფოტოგრაფი თომა სუხაშვილი. მან სტუდენტებს გაუზიარა წეროვანში მცხოვრები დევნილთა პრობლემები, აგრეთვე ისაუბრა დასახლების დაგეგმარების თავისებურებაზე. პროექტში ჩართულები არიან ფაკულტეტის ბაკალავრები და მაგისტრანტები: მარიამ ღვინეფაძე, ანა ნაცვლიშვილი, დეა ხიზაინიშვილი, გიორგი ზაქაშვილი, ანანო გობეჯიშვილი, ანანო კვაჭანტირაძე, ანი ჩუხრუკიძე, ბარბარე კიკილაშვილი და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი ნინო გოგოლაძე.

პროექტი განხორციელდა **"არქიტექტურული პოეტიკის"** სტუდიაში დავით ბოსტანაშვილის ხელმძღვანელობით.





 

2.საერთაშორისო და ადგილობრივ სტუდენტურ არქიტექტურულ კონკურსებში მონაწილეობა

- მსოფლიოს საუკეთესო დამამთავრებელი პროექტი - საერთაშორისო კონკურსი: ARCHIPRIX 2021; კონკურსის ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და იგზავნება ორი წლის განმავლობაში ფაკულტეტის საუკეთესო სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომი.

მაგისტრანტი პაატა მირცხულავა - „საერთაშორისო აეროპორტი ქ. თბილისში“ ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი მედეია მელქძე

 

- არქიტექტურის დღე - 2020 ფარგლებში არქიტექტურის მიმართულების სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი

კონკურსის ორგანიზატორი არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, თანაორგანიზატორები საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი არქიტექტურული სკოლები.

კონკურსი ტარდება შემდეგ ნომინაციებში:

- ქალაქთმშენებლობა
- ლანდშაფტის არქიტექტურა
- მოცულობითი არქიტექტურა (არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის პრემია)
- რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია
- ინტერიერი და დიზაინი
- გარემოს დიზაინი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ წარდგენილი პროექტები სხვადასხვა ნომინაციებში:

**ნომინაცია: ქალაქთმშენებლობა**

„დასავლეთი ფერდის რთული რელიეფის საცხოვრებელი გარემო“

მაგისტრანტი: თორნიკე სანაძე - I პრემია

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მედეა მელქაძე

**ნომინაცია: ლანდშაფტის არქიტექტურა**

1.“არქიტექტურის ინსტიტუტი ლისის ტბაზე“

მაგისტრანტი: ზვიად გეგუჩაძე - I პრემია

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მედეა მელქაძე;

**ნომინაცია მოცულობითი არქიტექტურა**

1. „ღვინის ქარხნის კომპლექსი“

მაგისტრანტი: ნინო ბუჭუხიშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა გელაშვილი

2.“სტადიონი ქუთაისში“

მაგისტრანტი: ირაკლი ხუტუაშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი გია ნადირაძე

3.“კულტურის ცენტრი მესტიაში“

მაგისტრანტი: ლუკა ჭკადუა  - I პრემია

ხელმძღვანელი: ასოცირებებული პროფესორი ვასილ ქობულია

**ნომინაცია: რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია**

1.“არქიტექტურის ინსტიტუტი თბილისში“

მაგისტრანტი: ქრისტინა ზოგდაციანი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვაჟა გელაშვილი

2.“პარაზიტული არქიტექტურა - ძველი ქარხნის შენობის რევიტალიზაცია“

მაგისტრანტი: თინათინ ფხალაძე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი

3.“ფოთის ნავსადგურის სამგზავრო ტერმინალი“

მაგისტრანტი: ანი შტააძე - I პრემია

ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო იმნაძე

**ნომინაცია: ინტერიერი და დიზაინი**

„ყოფილი ქარვასლის ინტერიერის მოდერნიზაცია (ქ.თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა №36)“

მაგისტრანტი: ლევან ღავთაძე - I პრემია

ხელმძღვანელი: პროფ. თინათინ ჩიგოგიძე

-ჟურნალ სტილის მიერ გამოცხადებული კონკურსი „წლის საუკეთესო სტუდენტური პროექტი“ - მონაწილეობას იღებენ ბაკალავრები და მაგისტრანტები კონკურსზე გაიგზავნა ხუთი პროექტი.










4. 2020 წლის 15 აპრილიდან 15 ივნისამდე ჩატარდა ონლინ **სტუდენტური კონკურსი თემაზე: „არქიტექტურა დისტანციური ურთიერთობისთვის“; კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის ბაკალავრებმა.**

არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს გამოწვევა და შექმნეს პროექტები, რომელშიც გამოავლინეს თავაიანთი დამოკიდებულება პანდემიის დროს შექმნილ ვითარებაზე. შედეგად დაიბადა პროექტების მთელი სერია: „არქიტექტურა დისტანციური ურთიერთობებისთვის“ - „ქაღალდის არქიტექტურა“ ე.წ უტოპიური ფანტაზია. დისტანცირებამ, იზოლირებამ უამრავი ახალი არქიტექტურული კონცეფცია გამოავლინა. საკონკურსო პროექტების განხილვა მოხდა დისტანციურად>

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 80 სტუდენტმა. გამარჯვებულები გამოვლინდნენ 15 ივნისს.

I ადგილი - ნინო მარღიშვილი







I ადგილი - ლევან არველაძე


The institute and the pandemic
The institute and the pandemic





2 ადგილი - მარიამ ღვინეფაძე



2 ადგილი - თინათინ გვალია




3 ადგილი - ანა ნაცვლიშვილი



3 ადგილი - ამირან ხაჭვანი









წამახალისებელი - სესილი ჯორთმენაძე




[illegible] სახლი [illegible]

ეს არქიტექტურული ფორმის შექმნის მთავარი მიზანია ადამიანის [illegible] ადამიანი [illegible] იყოს [illegible]
[illegible] რომ ადამიანი [illegible] იყოს [illegible] სფეროები განთავსებისას როდესაც.
[illegible] სახლებს შეეძლებათ [illegible] ღრმა [illegible]
ეს როდესაც თითო სფეროს [illegible] რაც ასევე ადამიანს [illegible]
[illegible]







ერთი სფერო იქნება ერთი ოჯახის საცხოვრებელი სახლი. თითო სფეროს ექნება მიბმული მცირე ზომის სფერო
ან სფეროები, რომელსაც ექნება ღია ტერასა, აუზით და მცირე ბაღით. ეს ტერასების სახურავი იქნება რეგულირებადი
სურვილის შემთხვევაში ადამიანს შეეძლება სახურავის მთლიანად დახურვა.
სფეროში ასევე განთავსებული იქნება სავარჯიშო ინვენტარი, რაც ადამიანის აქტიური ცხოვრებისთვის
იქნება ხელმისაწვდომი.










წამახალისებელი - თეო გეგეშიძე







აღინიშნა - ირაკლი ხატელიშვილი



აღინიშნა - ზაურ გულიევი



2020 წლის 25 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით ონლინ სტუდენტური კონკურსი თემაზე - "COMMUNITY HEALTHCARE“ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა. არნიშნული თემა ასევე საინტერესო გახდა სტუდენტებისთვის: ეს არის ჯანდაცვა და ადამიანების სამკურნალოდ მცირე მობილური სივრცეების ორგანიზება. ფუნქციური არქიტექტურა, რომელიც ეხლა ამ წუთას აუცილებელია. ასე შეიქმნა საინტერესო პროექტების სერია: მცირე მოცულობის მობილური, ტრანსფორმირებადი პოლიკლინიკები - **სტუდენტური კონკურსი თემაზე - "COMMUNITY HEALTHCARE“ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა.** საკონკურსო პროექტების განხილვა მოხდა დისტანციურად.

პირველი ადგილი - მარიამ ღვინეფაძე



პირველი ადგილი - გიორგი ზაკაშვილი



მე-2 ადგილი - ელენე ბერძენიშვილი



მე-2 ადგილი - სესილი ჯორთმენაძე



მე-3 ადგილი - რატი ნეფარიძე



მე-3 ადგილი - ნუცა ლომსაძე



მე-3 ადგილი - ნიკიტა ტიმოშენკო



წამახალისებელი - მარიამ კვერნაძე, თორნიკე დარჩია




5. 2020 წლის 5 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა ორგანიზება გაუკეთა **ვირტუალურ ლექციათა ციკლს, ბაკალავრებისათვის".** ფაკულტეტის დოქტორანტებმა წაიკითხეს ლექციები არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. ლექციის დასრულების შემდეგ იმართებოდა ინტერაქცია კითხვა-პასუხის რეჟიმში. სულ გაიმართა 8 ონლინ ლექცია. ლექციები მიყავდათ ფაკულტეტის დოქტორანტებს: გიორგი გაბუნიას, ქეთევან სოლომონიშვილს, ოთარ მჭედლიშვილს, ნინო ჭრელაშვილს, ანა რატიანს, ნიკოლოზ ლეკვეიშვილს, დავით ასანიძეს და ნინო ბარნაბიშვილს. დოქტორანტ ნიკოლოზ ლეკვიშვილის ლექცია: სამუშაო სივრცეები 21 სუკუნეში გაშვებული იყო იუტუბზე:

https://www.youtube.com/watch?v=udMOkjSgoN4&t=5s

6. ინტერნაციონალიზაცია

2020 წ. ონლინ საერთაშორისო ვორქშოფი თემაზე: "Heritage Without Frontiers - 2nd edition";




2020 წლის 23 მაისს დასრულდა მეორე საერთაშორისო ვორკშოფი-„Cultural Heritage without frontiers!" Politecnico di Milano-s მხარდაჭერით და Erasmus K107 Project Mobility Activitis პროექტის ფარგლებში. ვორკშოფის ერთერთი მთავარი თემა გახლდათ საქართველოს არქიტექტურა, კერძოდ საბჭოთა კავშირის პერიოდში აგებული კულტურული მემკივიდრეობის ძეგლები. ვორკშოფში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები და მოწვეული პროფესორები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო იმნაძე და დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი. მათ ჩაატარეს ონლაინ ლექცია თემაზე: 2020 წლის 21 მაისი **ონლინ საჯარო ლექცია - "Architectural heritage: the environment and modern society. Georgian architecture in 1976-1990"**ვორქშოფი 4 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში.

**7.სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია**

- 2020 წლის 15 ივნისი **პირველი საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია თემაზე - "კოვიდ - 19, გამოწვევები არქიტექტურაში".**




კონფერენციის მიზანი იყო ჩვენი ხმის დაფიქსირება კოვიდ-19-ის საერთო სივრცეში. კოვიდ-19 გამოწვევაა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს.

კონფერენციის უცხოელი გამომსვლელბი:

1. პაულო კუკი - PCA-PaoloCucchi Architects ფირმის დამფუძნებელი. იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, მალაიზიისა და სინგაპურის

არქიტექტურული სკოლებისა და უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი.

2. აბინ ჩაუდჰური - მოწინავე კომპანია ინდოეთში ჰერცოგ დე მეირონის პარტნიორი ორგანიზაცია.

3. ფრანჩესკო ადორნი (დამფუძნებელი, არქიტექტორი, კომპანია Francescoadorniarchitetto)

4. ანტონიო კასტელბრანკო, ოქსანა ტურჩანინა. –RETHINK ტემპუსის პროექტის კოორდინატორი - ლისაბონის უნივერსიტეტი.

5. პროფ. ბეატა ფეჰერვოლღუი, პროფ. ვიქტორია ცუპონი,(პანონიის უნივერსიტეტი, უნგრეთი),

6. ლანდშაფტის არქიტექორი გუდრუნ ნაჰრენდორფი (გერმანია).

სტუდენტური არქიტექტურული პროექტები

- **მე-2 ონლინ სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალათმშენებლობის“ თანამედროვე პრობლემები“** მიძღვინილი ფაკულტეტის პროფესორი მაია ჯავახიშვილის ხსოვნას - თბილისი 2020 წლის 21 დეკემბერი.





**7.დავაფუძნეთ ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტებისთვის - არქიტექტურული პლატფორმა - მრგვალი მაგიდა.**

ამ მიმართულებით განხორციელდა რამოდენიმე პროექტი: ონლინ საჯარო ლექციების სერია ფაკულტეტის ბაკალავრებისთვის.

























სამეცნიერო კონფერენციებში დამოუკიდებელი სექციის ორგანიზება: 1. 2020 წლის 15 ივნისი პირველი საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია თემაზე - “კოვიდ - 19, გამოწვევები არქიტექტურაში” და მე-2 ონლინ სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალათმშენებლობის“ თანამედროვე პრობლემები“

- თბილისი 2020 წლის 21 დეკემბერი; ევროკავშირის დღეებისთვის ვორქშოფის ორგანიზება;

**8. სტუდენტებისთვის არქიტექტურული ვორქშოფების, სემინარების, საკონკუსო პროექტების ორგანიზება;**

1.2020 წლის 1 მაისიდან 30 ივნისი ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ონლინ არქიტექტურული პროექტის - **„სტუ-ს მე-6 კორპუსის ფასადის რესტავრაცია-რეაბილიტაცია“** შედგენაზე;

2.2020 წლის 25 ივნისი 25 ივლისი - ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ონლინ არქიტექტურული პროექტის **„სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის წინ სკვერის მოწყობის“** შედგენაზე;

3. ევროპის მემკვიდრეობის დღეებისადმი მიძღვნილი ონლაინ თემატური სემინარში მონაწილეობა 2020 წლის 3 ოქტომბერი, მომზადდა მოხსენებები, პროექტები და ჩატარდა ვორქშოფი. მონაილეობა მიირეს ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა: პროფესორი ნინო იმნაძე, ასოც. პროფესორი მარიკა ფოჩხუა, ასოც. პროფესორი ნინო ჩაჩავა, არქიტექტურის დოქტორი თამარ ხოშტარია; დოქტორანტებმა, მაგისტრანტებმა და ბაკალავრებმა.

- საქართველოში დიუმას კულტეურული მარშრუტის პროექტის არქიტექტურული ვექტორების გავლენები - მომხსენებელი ასოც. პროფესორი ნინო ჩაჩავა;

- xIx-xx სს. მიჯნაზე ინდუსტრიული პერიოდის საინჟინრო ინფრა სტრუქტურა - ხიდები - მომხსენებელი არქიტექტურის დოქტორი თამარ ხოშტარია;

- ევროპული სტილების ზეგავლენა მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურაზე (ფოტო პროექტი); - ხელმძღვანელი ნინო იმნაძე, შემსრულებლები მაგისტრანტები მარიამ ღვინეფაძე და ანანაცვლიშვილი;

- ევროპელი არქიტექტორები თბილისში (ფოტო პროექტი)- ხელმძღვანელი ნინო იმნაძე, შემსრულებლები მაგისტრანტები მარიამ ღვინეფაძე და ანანაცვლიშვილი;

- არტ-ნუვო და საქართველო (ფოტოკოლაჟი)- ხელმძღვანელი ნინო იმნაძე, შემსრულებლები მაგისტრანტები მარიამ ღვინეფაძე და ანანაცვლიშვილი;

- პროექტი: "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" (დოკუმენტური ფილმი ფაკულტეტზე შექმნილი პროექტის მიხედვით)-ხელმძღვანელი და ავტორი პროფ. ნ. იმნაძე;

- პალაცო ფლორენციის და თბილისის არქიტექტურაში მომხსენებელი ნ. იმნაძე, მ. დავითაია და ბესარიონ ტატიშვილი;

პროექტი შესრულდა საერთაშორისო ვორქშოფის შედეგად ფლორენციაში და თბილისში































4. სტუდენტური ვორქშოფი: **„ევროპული ქალაქგეგმარებითი სტანდარტების გავლენა თბილისის ურბანული გარემოს ფორმირებაზე (ვაკის უბნის მაგალითზე)**

ვორქშოფი მომზადდა ევროკავშირის დღეებისთვის. ჯგუფის ორგანიზატორი ასოც.პოფ. მ. ფოჩხუა, ჯგუფის მენტორი დოქტორანტი ო. მმჭედლიშვილი; ჯგუფის წევრები: ბაკალავრიატის 3 და 4 საფეხურის სტუდენტები გიორგი ხელაძე, ოთარ კუბლაშვილი, მირანდა გულბანი, ნიკა ადამია, მარიამ მეგრელიშვილი, გუგა მგელაძე, მარიამ მესტიაშვილი, თამარ კენჭოშვილი.

5.არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს **თბილისის არქიტექტურულ ბიენალე - 2020 -ის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტში - ინდუსტრიული მემკვიდრეობის კვლევა - თბილისის ჩვენთვის უცნობი შენობები; „მეტაფორმა“** და სხვა.






ბიენალეს ფარგლებში წაკითხული იყო არაერთი ლექცია, რომელსაც უძღვებოდა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი.

## 9. გამოცემები

- 2020 წლის 5 აგვისტო - გამოვიდა ელექტრონული **„არქიტექტურული დაიჯესტის მორიგი ნომერი № 22**

















- 2020 წლის 15 სექტემბერის გამოვიდა ელექტრონულად **არქიტექტურული დაიჯესტის სპეციალური გამოშვება: „კოვიდ - 19“** სადაც აისახა 2020 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო - პროფესიული მოღვაწეობა;

















2020 წლის დაიჯესტი №23



- 2020 წლის 18 სექტემბერი - გამოვიდა ელექტრონული ჟურნალი: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“; № 12;




- 2020 წლის დეკემბერი - მომზადდა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ: „კოვიდ - 19“ გამოწვევები არქიტექტურაში;




- წიგნი: Cultural Heritage and Urban Health. New perspectives for cultural heritage conservation and sustainable urban development in Tbilisi. An open dialogue between Georgia and Italy. 2020 წლის დეკემბერი; გამოიცა რომში. ISBN 978-88-255-3754-3

წიგნში შესულია ქართველი და იტალიელი არქიტექტორებისა და ასევე სხვადასხვა სფეროს წამყვანი სპეციალისტების ნაშრომები, რომლებიც გააერთიანა თემებმა, როგორებიცაა: ახალი პერსპექტივები კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის

საკითხებში, რესტავრაცია-კონსერვაცია, ურბანული ჯანრთელობა. საქართველოსა და იტალიას შორის არსებული აკადემიური კავშირები და მათი განვითარების შესაძლებლობები.







წიგნი გამოიცა თბილისის არქიტექტურული კვირეულის TAW-ის პატრონაჟით, რომელიც პანდემიის გამო 2020 წლის თებერვალში სამწუხაროდ ვერ მოხერხდა სულფასოვნად კვირეულის ჩატარება და უცხოელი სპეციალიატების მასპინძლობა თბილისში. წიგნის ოფიციალური პრეზენტაცია ქართველი აუდიტორიის წინაშე დაგეგმილია 2021 წლის გაზაფხულზე.




პროექტში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ორგანიზაციებმა მათ შორის მილანის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, თბილისის მერიამ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, იტალიის საელჩო საქართველოში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, დანტე - თბილისის კომიტეტი.

-პროექტი „მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“ ფარგლებში ლურჯი პროექტის გუნდის მიერ მომზადდა **სახელმძღვანელო "როგორ და რატომ უნდა დავიცვათ გვიანი მოდერნისტული არქიტექტურა"**, რომლის ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://cutt.ly/Sh5cOFl

ბეჭდური ვერსიები გადაეცემათ პროექტში ჩართული უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს.

პროექტში სხვა ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი.

**სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები და დამხმარე სახელმძღვანელოები.**

1.2020 წელს გამოვიდა ელექტრონულ ფორმატში დამხმარე სახელმძღვანელოები: რუსულენოვანი სალექციო კურსი - „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები“ავტორი ვ. მუჯირი;

2.დამხმარე სახელმძღვანელო „კინეტიკური არქიტექტურული დიზაინი“ ავტორები დავით თავხელიძე და მანანა თავხელიძე;

3.მომზადდა სახელძღვნელო „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“ ავტორი ქეთევან ბერეკაშვილი;

4.მიენიჭა გრიფი სახელმძღვანელოს: „კოდები და ნიშნები არქიტექტურაში“ ავტორები: მაია დავითაია, ნიკოლოზ შავიშვილი

**განვახორციელეთ სტუდენტების მიღება 2020/21 სასწავლო წლის სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“; რუსულენოვან საბკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“;

ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა: „ მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;

სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“ და „არქიტექტურათმცოდნებობა“;

სადოქტორი პროგრამა „არქიტექტურა“ და „არქიტექტურათმცოდნეობა“.

**დამხმარე სტრუქტურულ ერთეული: „არქიტექტურული ბიურო“**

2020 წლის 15 აგვისტოს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა „არქიტექტურული ბიურო“, როგორც არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული.

მომზადდა „არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის“ ფაკულტეტის დებულების და სტრუქტურის პროექტი;

არქიტექტურის, ურბანისტიკის და

დიზაინის ფაკულტეტის დეკანი ნ. იმნაძე